

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსან კეთილმან სული თვისი დაჰსდეს ცხოვართათვის. იოან. 10 — 1.
 შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15 — 4.
 მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11 28.

№ 8. 1883 — 1897 30 აპრილი

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეით 3 მან.	12 თვეით 5 მან.
6 — 2 —	6 — 3 —

შულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
 В г. Кавриана, в редакцію „Мѣсяца“ и „Пастыря“.

შველა სტატიები და კორექსიონები, რომელნი იქმნებიან დასაბუქდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.
 სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნდეს.
 სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


როგორ მოიპოვება საზოგადოების ჰატევის-ცემა და სიყვარული?

რომელსა უნდეს დიდ ყოფა თქვენ შორის, იყოს თქვენდა მსახურ; და რომელსა უნდეს თქვენ შორის პირველ ყოფაი, იყოს ყოველთა მონა. (მარკ 10, 43 და 44).

ყველა ადამიანს სურს რითიმე თავი გამოიჩინოს, დადგეს საპატიო ადგილზე, ამაღლდეს საზოგადოების

თვალში, დაიმსახუროს პატივისცემა და სიყვარული მის გარშემო მყოფთა, ქონდეს გავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ამით ბედნიერება მოიპოვოს. უმეტესად აღნთებული და გატაცებულია ამისთანა სურვილით ყმაწვილობა. უმაღლესი მოზარდი ახალგაზღობაც კი მუდამ ბრწყინვალე და გაფართოებულ მომავალზე ოცნებობს, ფიქრობს, თუ როგორ აღვიდეს საზოგადოებრივ კიბის უმაღლეს საფეხურზე და ზიზლით წარმოიდგენს უფერულ შეუმჩნეველ ცხოვრებას.

რა უნდა ითქვას ადამიანის ამისთანა სურვილზე?



ეთანხმება იგი ქრისტიანულ ზნეობრივ სწავლას? მიყავს თუ არა ადამიანი მიზნამდის ამისთანა სურვილს და ანიჭებს მას თუ არა ბედნიერებას?

სურვილი გამოჩენილი ადგილის შოვნისა და საზოგადოების პატივისცემის მოპოებისა არ არის კეთილი, ქრისტეს სწავლის შესაფერი. ის, როგორც ცხადყოფა თავმოყვარეობისა, პატივის და დიდების მოყვარეობისა, არის ბიწიერი და ვერ მოთავსდება სახარებისებრივ ცხოვრებაში. ჭეშმარიტ ქრისტიანეს სრულიად არ უნდა ქონდეს სახეში მოძმეთაგან განსხვავება, დაჯილდოება, მოპოება ხალხის ყურადღებისა და სიყვარულისა. ქრისტიანე უნდა იღვწოდეს ცხოვრების ამა თუ იმ სარბიელზე თვით ღვაწლისათვის, თვით კეთილისათვის. მაცხოვარი კიცხავს იმ კაცს, რომელიც მოქმედებს იმისთვის, რომ მისი საქმენი დაინახონ და აღიღონ იგი. მან ბრძანა: „ეკრძალებით ქველის-საქმესა თქვენსა, რათა არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათდა; უკეთუ არა, სასყიდელი არა გაქვს მამისა თქვენისაგან ზეცათასა“... (მათ. 6 თ., 1 მ.). რომ ქვეყნიურ დიდებისადმი ლტოლვილება ბიწიერებაშია, უფრო დავრწმუნდებით, თუ წარმოვიდგენთ იმ საშვლებებს, რომელთაც, ჩვეულებრივ, ხმარობენ მის მისაღწევად. ადამიანს საზოგადოების პატივისცემას მოუპოვებს, ერთის აზრით, დიდძალი ადგილ-მამული, დიდი სიმდიდრე, ფუფუნებით და განცხრომით ცხოვრება, ბრწყინვალე მორთულობა სახლისა, დიდი და ხშირი წვეულობა და ღვინო და სხვანი სიამენი და მხიარულებანი; მეორის ფიქრით, მაღალი თანამდებობა, ხელში ჩაგდება უფლებისა, მრავალ ხელქვეითების ყოლა, მათზე ბრძანებლობა, მათი ბედ-იღბლის გადაწყვეტა; მესამის აზრით, ყოველმხრივი განათლება, მრავალ გვარ თეორეტიულ და პრაქტიკულ ცოდნათა შეძენა, ნიჭი მრავალ მჭერ-მეტყველობისა და ამეების მეოხებით, ხალხის დამორჩილება, ყველა საქმეებში პირველობა და წინ გაძლიობა. არიან კიდევ იმისთანა პირები, რომლებიც მაცადინობენ დაიმსახურონ საზოგადოების სიყვარული ქველ-მოქმედებით, შემწობით, შეწირულობით და სხვა და სხვა გვარ საკეთილმიზნო დაწესებულებათა დაფუძნებით. ყველა ადვილად მიხვდება, რომ ზემოჩამოთვლილ საშვლებებში ხალხის პატივისცემის მოპოებისათვის იმალება ბოროტება. სურვილი პირველობისა, პატრონობისა ცხადად ამტკიცებს უზომო თავ-

მოყვარეობასა, დიდების მოყვარეობასა, რაეტიც მოსაწონი არ არის. რაც შეეხება იმ პირებს, რომლებიც ქველ-მოქმედებით ფიქრობენ დიდების მოპოვებასა, მათ შესახებ უნდა ითქვას, რომ მათი სიქველე არ არის ნამდვილი ქრისტიანული. ის კაცი, რომელიც შვება კეთილს იმისთვის, რომ მისი კეთილი საქმე შეამჩნიონ და მას საკმეველი უკმიონ, შვება კეთილს არა თვით კეთილისადმი მიდრეკილებისა გამო, არა სიყვარულისათვის ღვთისა და მოყვარისადმი, არამედ მარტო სახელისათვის, და იგი იქმნის კეთილს მხოლოდ მაშინ, როცა მას უყურებენ, და ამიტომაც მის კეთილ მოქმედებას არ აქვს ჯეროვანი ღირსება და ფასი. შემდეგ, ვინც საზოგადოების პატივისცემის მოპოვების სურვილით ხელმძღვანელობს ის, რათა თვისს მიზანს მიღწიოს, იძულებულია თვისი მოქმედება შეუფეროს საზოგადოების შეხედულებათა, მოიქცეს ისე, როგორც ხალხს ესაიმოვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ არ შეუთანახმა თვისი ქცევა საზოგადოების გემოვნებას და ჩვეულებათა, ის ვერ ასაიმოვნებს საზოგადოებას და, აქედამ, ვერ ეღიოსება მისგან პატივისცემასა. ხოლო ვიცით, რა მოსწონს და რას თხოულობს საზოგადოება! ამიტომ, დიდებისადმი მლტოლველი, თუ გინდ მას სულით და გულით სწადდეს კეთილის საქმის გამოჩენა, მაინც ვერ ბედავს ამას, რათა არ განარისხოს მეთვალყურენი, და თუ გინდ მას არ უნდოდეს ბოროტების ჩადენა, მაინც ძალაუბებურად ჩადის ცოდვასა. ამის მაგალითებს ბევრს ვხედავთ ცხოვრებაში.

შემდგომ ცდა პატივის ცემის მოპოვებისა არ გვირგვინდება სრულის წარმატებით. „რჩეულთა ამა სოფლისა“ ძალის და უფლების ხელთ პყრობისათვის ხშირად მოუდისთ შეტაკება თვის მოძმეებთან და ამ ბრძოლაში არ ზოგვენ და ვნებენ მათ. აი ეს დაჩაგრულნი პირნი არამც თუ არ სცემენ მათ პატივს, არამედ პირიქით საყოველთაოდ უჩივიან მათ და ლანძღვა-გინებით აჯილდოვებენ. ამ პირთა მივუმატოთ კიდევ ის გონიერი პირები, რომლებიც ნათლად ხედვენ, რომ „ძლიერთა შინა ამა ქვეყნისა“ ღვივის განუსაზღვრელი თავმოყვარეობა და მასთან შეერთებულნი ნაკლულევანებანი და რომ ისინი მოქმედებენ მხოლოდ თვის ინტერესებისათვის, და ამიტომ არ აფასებენ მათ. ამ ნაირად გამოდის, რომ „წარჩინებულთა“ მრავალნი არ სცემენ პატივსა. თუ



ღრმად ჩაუკვირდებით, არც დანარჩენების პატივისცემას „რჩეულებისადმი“ აქვს ფასი. ჩვეულებრივ პატივისცემენ „წარჩინებულთა“ მხოლოდ მანამდის, სანამ ესენი ცხოვრების ბედნიერ პირობებში იმყოფებიან, სანამ მათ აქვთ სიმდიდრე, უფლება ფიზიკური და გონებრივი ძალა და სიმხნე, სანამ შეუძლიათ ყოველ საზოგადო საქმეში ჩაერიონ და იომონ. ხოლო რა წამს დაკარგვენ ქონებრივ კეთილდღეობას და მალალ თანამდებობას, დაუძლიერდებიან სულიერადაც და ხორციელადაც, გამოეღვავათ ნათლიერება და გამჭირახობა გონებისა და შესწყვეტენ საზოგადოებრივ მოქმედებას, მაშინათვე კარგვენ უწინდელ ბრწყინვალებას, ხდებიან შეუმჩნეველ პირებად და ივიწყებიან სამუდამოდ. აქედამ ჩანს, რომ «წარჩინებულებში» აფასებენ არა მათ პირადობას, არა მთელ მათ არსებას, არა მათ შინაგან თვისებათა, არამედ გარეგან, შემთხვევით მოპოებულთა თვისებათა. ამიტომ ასეთი პატივისცემა არ ჩაითვლება ნამდვილ პატივისცემად, და არ არის გასახარელი.

გარდა იმისა, რომ სურვილი საზოგადოების პატივისცემის მოპოებისა არის ცოდვითი და არ სრულდება, კიდევ იგი არ აძლევს ადამიანს ბედნიერებას. და ეს გასაკვირველი არ არის. როგორც უკვე ვთქვით, სურვილი სხვებზე ბატონობისა და ბრძანებლობისა არის თავმოყვარეობითი, შეერთებულია სხვა ბოროტ სურვილებთან და ამიტომ იგი ცოდვითია; ხოლო სადაც ბიწიერებაა, იქ ბედნიერება ვერ დაისადგურებს, ესა ერთი. მეორედ, საპატიო ადგილის დაკავებისათვის და მასზე დამაგრებისათვის ადამიანი იძულებულია ებრძოდოს თვისთა მოძმეთა; ხოლო ამ თავ განწირულ ბრძოლაში ის ბევრ დაბრკოლებათა და უსიამოვნებათა ითმენს, რომელნიც ამღვრევენ მის სულის მშვიდობიანობას და აფსებენ მის სულს მწუხარებითა. მესამედ, სურვილი აღმატებისა და სახელის მოხვეჭისა, რაც უნდა ეცადონ მისი ასრულება, მაინც არ ძლება, არ კმაყოფილდება. ვინც დაიჭერს საჩინო ადგილს საზოგადოებაში და პატივისცემას ეღიროს, მას კიდევ უფრო უძლი-

ერდება სურვილი სახელის გათქმისა და უფრო მეტი პატივისცემის მოპოებისა და ასე შუღამ, დაუბოლოებლად. ეს დიდების მოყვარეობის დაუკმაყოფილებლობა კაცს არ ასვენებს, ანაღვლიანებს, აუბედურებს. იქნება ვინმემ სთქვას, აკი იდიდებიან მეცნიერნი, რომლებიც შრომობენ სახელისათვის. დიდებულებოვანნი და მრავალ-კეთილ მომქმედნი პირები იღვწიან თვით შრომისათვის, მეცნიერებისადმი სიყვარულისაგამო, და არა სახელის მოსახვეჭად. თუ ზოგიერთები მართლა სახელისათვის იღვწიან მეცნიერებაში და, ამის და მიუხედავად, საყოველთაო პატივისცემით ჯილდოვდებიან, მაინც ამათდამი პატივისცემა არ არის ღრმა, მხურვალე. თავმოყვარე მეცნიერებში აფასებენ მხოლოდ მათ ჭკუა-გონებას, მათ ნაწარმოებს, და არა მთელ მათ არსებას, და არა მათ ზნეობრივ ბუნებას, რომელსაც უფრო აქცევენ ყურადღებას, და ამიტომ არ უკავშირდებიან მათ სულით და გულით მჭიდროდ, არ გრძობენ მათდამი ცხოველ ძლიერ სიყვარულსა.


ამ ნაირად, ზემო ნათქვამიდან ჩანს, რომ ვინც მიისწრაფის საზოგადოების პატივისცემისადმი, ის ვერ პოულობს ნამდვილ, შეუცვლელ, მუდმივ პატივისცემასა და ბედნიერებასა.

მაშ ვინ ხდება ღირსი საზოგადოების პატივისცემისა? რითი მოიპოვება ხალხის ყურადღება და სიყვარული? ნამდვილი, საიმედო საშუალება საზოგადოების პატივისცემის დამსახურებისათვის დასახეულა თვით მაცხოვარმა: „რომელსა უნდეს დიდ ყოფა თქვენ შორის, იყოს თქვენდა მსახურ; და რომელსა უნდეს თქვენ შორის პირველ ყოფა, იყოს ყოველთა მონა“ (მარკ. 10, 43 და 44). მხოლოდ ის ხდება ღირსი საზოგადოების ჭეშმარიტ, მტკიცე და ღრმა სიყვარულისა, ვინც სხვების დამორჩილებას და მათზე ბრძანებლობას კი არ ცდილობს, არამედ თვით ემორჩილება და ემსახურება მათ. პირველ შეხედვაზე დაუჯერებლად გვეჩვენება, რომ გარეგნობით მდაბალ გვარმა ცხოვრებამ ადამიანი მიიყვანოს მალალ მდგომარეობამდის საზოგადოებაში, მო-

უპოვოს მას ყურადღება და პატივისცემა ხალხისა? გარნა, თუ ჩაუკვირდებით საქმეს და შევხედავთ სინამდვილის მაგალითებს, დავრწმუნდებით, რომ „მოსამსახურისებრივ და მონისებრივ“ ცხოვრებას მოსდევს ამაღლება, საზოგადოების პატივის ცემა და სიყვარული. კეთილს მოსამსახურეს სულით და გულით უყვარს თვისი ბატონი, ყოველთვის უგონებს მას, მუდამ სისწოლოთ ასრულებს მის მოთხოვნილებათა, ზრუნავს მის საჭიროებაზე და კეთილდღეობაზე და მზად არის მისი გულისთვის უარყოს თვისი სარგებლობა და თავი დასდოს; და ამასთანავე იგი არ სწყუხს, არ უჩივის თვის მდგომარეობას, არ სცდილობს როგორმე თავი გაინთავისუფლოს ბატონისგან და მის მაღლა დადგეს. აი ვინც მსგავსად ამა მოსამსახურისა ხდება თვის მოძმეების მოსამსახურედ, მიზნად აქვს საზოგადო სიკეთე, თავ გამოდებით უწყობს ხელს თვის მოყვასთა, უარყოფს პირად ანგარიშებს, ითმენს ყოველ-გვარ სიძნელეს, გაჭირვებას და ამასთან სრულებიდაც არ აქვს სახეში როგორმე ამაღლდეს საზოგადოების თვალში, მოიპოვოს პატივისცემა და სხვისი დიდება არ შეუშრს, ის იპყრობს ყველას ყურადღებას, წრფელ და მხურვალე სიყვარულსა: მას აქებენ მის თავ-განწირვისათვის, მას მოწიწებით შეყურებენ და სხვებზე უპირატესობას აძლევენ; და მისი სახელი არამც თუ მის სიცოცხლეშივე არ ისპობა, არამედ მომავალშიც გადადის. ასეთ ძლიერ გავლენას ისინი ახდენენ ხალხზე, ერთი, თვით სამსახურით საზოგადოების წინაშე, მეორედ, და ეს უფრო, თვისი საოცარი შინაგანი ცხოვრებით, თვის, ქრისტეს მიერ ცხოვრებით, რომლის მეოხებით ისინი ხდებიან შემძლედ მოსპონ თვის სულში თავმოყვარეობა, ღრმად გამჯდარი ჩვენს განხრწნალ ბუნებაში, და თავგამოდებით ემსახურონ საზოგადოებას (ამ საოცარ ღვათებრივ ცხოვრებაზე გვექნება ვრცელი საუბარი ცალკე). მართალია, ამისთანა ბრწყინვალე პირებს, პირველ ხანებში სანამ მათ კარგად გაიცნობდნენ, ბევრნი ხშირად არ ეპყრობიან პატივით და კიდევაც ავიწროებენ და

სდენიან მათ, მაგრამ დაბოლოს მაინც დაინახვენ მათის სულის სიდიადეს და იწყებენ მათ პატივისცემას. მხოლოდ სულ მთლად გაბოროტებულნი, გაპირუტყვებულნი ურჩობენ და რჩებიან მათ მტრებად. რამდენი „ძლიერნი ამა სოფლისანი“, რამდენი მდიდარნი და განცხრომაში მცხოვრებნი, რამდენი მაღალ-თანამდებობისანი, რამდენი ბრწყინვალე განათლებულნი, მობაასენი და ესრედ წოდებულნი მოღვაწენი (ჩვენ აქ სახეში არ გვაქვს ნამდვილნი უანგარო მოღვაწენი და მეცნიერნი) არსებობდნენ ამა სოფელში, და მათი ხსენება განქრა საუკუნოდ, და თითქმის სიცოცხლეშივე ჩამოვიდნენ იგინი ცხოვრების ასპარეზიდგან და დაკარგეს საზოგადოების პატივის ცემა. მხოლოდ მათ, რომლებიც სიმდიდრეს, მაღალ-ღირსებას, გარეგან განათლებას, საზოგადოების პატივისცემას არ აფასებდნენ და თავ განწირვით ზრუნავდნენ ხალხის სიკეთეზე და ხელს უწყობდნენ მოძმეთა კეთილ დღეობას, უკვდავ ჰყვეს თვისი სახელი. დიად, არა მძიებელნი ქვეყნიური დიდებისა, არა მიმსწრაფველნი პირველობისადმი, პოულობენ საზოგადოების პატივისცემას, არამედ უარმყოფელნი სოფლიური დიდებისა ხდებიან ყველასგან პატივ ცემულნი. ამ ნაირად მართლდება მაცხოვრის სიტყვები „რომელსა უნდეს დიდ ყოფა თქვენ შორის, იყოს თქვენდა მსახურ; და რომელსა უნდეს პირველ ყოფა თქვენ შორის, იყოს ყოველთა მონა“.

ამასთან უნდა შევნიშნოთ, რომ ამ სიტყვებში უფალი გვიჩვენებს ორ ხარისხსა საზოგადოების პატივის ცემისას: უმაღლესს. „რომელსა უნდეს პირველ ყოფა თქვენ შორის“ და მდაბალსა „რომელსა უნდეს დიდ ყოფა თქვენ შორის“ და შესაფერად ამისა იგი ასახელებს ცხოვრების, მოქმედების ორ გვარ სახესა: „მონისებრივსა“ და „მოსამსახურისებრივსა“. საზოგადოების პატივის ცემის უმაღლეს ხარისხხამდის მიღწევისათვის ნაჩვენებია ცხოვრება მონასებრივი; და საზოგადოების პატივის ცემის მდაბალ ხარისხისათვის-ცხოვრება მოსამსახურისებრივი“. მოსამსახურე კაცი, რომელიც ზრუნავს თვის




ქართული ენის ენციკლოპედია

სამწუხარო მოვლენა.

უმფროსის ბედნიერებაზე, ასრულებს მის მოთხოვნ-
 ლებათა და წადილთა, და ამასთან თვის თავზედაც
 ზრუნავს, დროს ახმარებს თვის ოჯახის კეთილ-
 ღღობასაც, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში თვის
 საყვარელ ბატონის გულისათვის ხელს იღებს პირად
 ბედნიერებაზე,—ნიშნავს კაცს, რომელიც აერთებს პი-
 რად და საზოგადო ინტერესებს, შრომობს როგორც
 თვის თავის სარგებლობისთვის, ისე მოყვასთა სიკე-
 თისათვის, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, როცა
 საქმე მოითხოვს, უარ-ყოფს პირად ბედნიერებას სა-
 ზოგადოების ბედნიერებისათვის. ამისთანა კაცი ჯილ-
 ღოდება ღრმა პატივისცემითა და სიყვარულითა.
 მაგრამ უფრო ღრმა და ძლიერი პატივისცემის ღირ-
 სი ხდება ადამიანი—„მონა ყოველთა“. მონა მთელი თვი-
 სი არსებით ეკუთვნის ბატონს, იმყოფება მის სრულ
 უფლებაში და განკარგულებაში, ცხოვრებს მარტო
 მისი ინტერესებით და დავიწყებული აქვს თვისი
 „მე“. ეს მონა მოასწავებს კაცს, რომელიც ცხად-
 ყოფს თვისი თავის უარყოფის და თავ-განწირვის
 უმაღლეს ხარისხსა, რომელსაც სრულიად არ აქვს
 სახეში პირადი ინტერესები და თავგამოდებით ემსა-
 ხურება საზოგადოებას. „მოსამსახურობა და მონა-
 ბა ყოველთა“ შეუძლიათ არა მარტო დაბალ წოდე-
 ბის პირთა, არამედ მაღალ ხარისხიანებსაც, საჭიროა
 ოღონდ, რომ უკანასკნელნი არარად სთვლიდნ
 თავიანთ მაღალ წოდებასა, არ უცხოობდნ და არ ვა-
 ნებობდნ დაბალ ხალხსა, იახლოვებდნ მის
 ინტერესებს, თანაუგრძობდნ და თანაეზიარებოდნ
 მის სიხარულოსა და მწუხარებასა, საქმით ეწეოდნ
 მას და მის გულისთვის მოიკლონ ქონებრივი შეძ-
 ლება.

ვეთიმე კაპახიძე.



ამას წინათ ერთი სასწავლებლის მოწაფე
 მოვიდა ჩემთან რჩევის საკითხავად იმის შე-
 სახებზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს იგი ერთი
 მისი ხელნაწერის-თარგმანის დასაბეჭდავად,
 ან მე სომ არ ვისურვებ ჩემს გამოცემაში ამ
 ხელნაწერის დაბეჭდვას. მე დარწმუნებული ვარ,
 რომ შეტუბა და გაკება ყოველივე იმისა,
 რაც ითქვა როგორც ჩემგან ისე ამ მოსწავ-
 ლესაგან ხსენებული ხელნაწერის შესახებ,
 უსარგებლო არ იქნება როგორც ზოგიერთ
 მშობელთათვის, ისე თვით მოსწავლეთათვისაც
 და ამიტომ ვბეჭდავთ აქვე.

მოსწავლე. მე გადავთარგმნე რუსული
 ენიდან ერთი მშვენიერი წიგნაკი გ. ნ. ლ.
 ტოლსტოისა და მინდა მისი დაბეჭდვა, და
 გთხოვთ მასწავლოთ, თუ როგორ უნდა მო-
 ვიქცე. ან თქვენ სომ არ მიიღებთ თქვენ თავ-
 ზე ამ თარგმანის დაბეჭდვას ჯერეთ გაზეთში
 და შემდეგ წიგნაკათ გამოცემას?


მე. რა წიგნაკი გადათარგმნეთ გრ. ტოლ-
 სტოისა? ვკითხე მე; იმისი ზოგიერთი წიგ-
 ნაკები ნეტავი რუსულ ენაზედაც არ იუვნენ
 დაბეჭდილნი, და ქართულად რა სასარგებლოა
 ვიდრე მათი გამოქვეყნება? მაინც რომელი
 წიგნაკი გადათარგმნეთ გრაფი ნ. ლ. ტოლ-
 სტოისა?

მოსწავლე. უველა იმის წიგნაკები, ბა-
 ტონო, სომ მოკესხენებათ, შესანიშნავი რა-
 ძეებია და ძლიერ სასარგებლოც. ამას მარტო
 მე ვი არა ვხლა მთელი ლიტერატურა და
 საზოგადოება აღიარებს საქვეყნოდ. მაგალი-
 თებრ: მისი წიგნაკები: «რით ცხოვრებს კაცი?»

„რამდენია საჭირო კაცი სოფლის“, „ჩემი აღსარება“, „მოთხოვნა სამ მოხუცებულზე“ და სხვანი. მე ვკონებ ამ წიგნაკებში არაფერი საწინააღმდეგო არ არის საწმენოებისა და ზნეობისა, ძლიერ მსურს, რომ ამისთანა სასარგებლო წიგნაკები დაიბეჭდოს ქართულად და ხალხში გავრცელდეს.

მე. ძლიერ სამწუხარო არის თქვენი ეკეთი მსჯელობა კრაფ-ტოლსტოის წიგნების შესახებ. მე შენი ვინაობა არ ვიცი და არც გამოვიკითხავ. ვთხოვ საწუენად ნუ მიიღებ ჩემს მამამეილურ დარიგებას და რჩევას. შეიძლება ეს ჯერ ჩემი დარიგება და სიტყვები საწუენად დაგირჩეს, მაგრამ ბოლოს, როცა უმეტესად შეიგნებ და შეისწავლი, კიდევ დამიმაღლებ. აი რა უნდა ვითხრა თქვენ: კარგი და პატრიოსანი მოსწავლე ყოველთვის თავის მასწავლებელს უნდა დაეკითხოს, როცა მას სურს რომელიმე წიგნის წაკითხვა, ან გადათარგმნა. თქვენ, როგორც ჩანს, არ დაკითხვითხართ მასწავლებელს ტოლსტოის წიგნაკის წაკითხვის და გადათარგმნის შესახებ. რომ მასწავლებელს დაკითხოდით, ის არასოდეს არ გირჩევდა დროს დაკარგვას მაგ წიგნის სათარგმნელად. ამ წიგნაკის წაკითხვა და თარგმნა შენ ალბათ გირჩია რომელიმე კონებით მხინჯმა, რომელმანაც ალბათ არ იცის ტოლსტოის წიგნების ნამდვილი აზრი და მიზანი, ამისთანა ზირები დღეს ბევრი არიან ჩვენში! ესენი არიან რომელიმე სამუხალო სასწავლებლებიდან გამოგდებულნი ან თავის ნებით გამოსულნი, რომელთაც ხელში ჩავარდნიან მარკსის და სხვა უცხოეთელ შესანიშნავ მწერალთა ნათარგმნი წიგნები. ამოუკითხავს

აქა-იქ რამდენიმე ადგილები. ამ წიგნებს ისე აურ-დაურევია მათი ტვინი, რომ რიგისანი მსჯელობა აღარ აქვსთ საცნებზე. ამ კონებით მხინჯთაკან ერთი მარკსის აზრების მიმდევარი მეორე დარვიანის, მესამე ბოკლისა და სხვანი კიდევ სხვების. სჯიან, ქადაგებენ, მაგრამ მათი მსჯელობა არეულ დარეულია; რიგისანი ზირები არც კი იკადრებენ მათთან ბაასისა; ასეთ ზირთ მუქლიათ მხოლოდ მოსწავლეთა მოტყუება, გატყუებენ კიდევ და სამწუხაროდ გულს გიგორებენ თქვენს ზირდაზირ მუშაობაზე და ამით დიდათ გაბრკოლებენ სწავლის საქმეში. თუ ვეგლა გაკვეთილებს ბეჯითად სწავლობ, სად გეგნება დრო ამ წიგნების სათარგმნელად? თუ დროს შოვობ, რატომ იმასთანა წიგნებს არ კითხულობ, რომელნიც შენი ზირდაზირი სავალდებულო და სასწავლო საცნების შესწავლაში მოგეხმარებიან. შენ ემხადები სამღვდელლოდ. განა კარგათ გაქვს შესწავლილი საღმრთო წერილის კითხვა და მისი ტიბიკონი? ან მჯერა, რომ ვეგლა სავალდებულო საცნებში კარგად მომხადებულ იყო. რა ხელობისათვისაც ემხადები კაცი, ის ხელობა კარგა უნდა შეისწავლო. შენ ემხადები სამღვდელლოდ მღვდელობა ისეთი მძიმე მოვალეობაა, რომ ამ მოვალეობას მარტო სასწავლებელში ვერ აწარმოებ, არამედ მთელს შენს სიცოცხლეში უნდა სწავლობდე. მღვდელია ერთად ერთი კაცი სასწავლოში, რომელიც სასთელივით უნდა ანთებდეს და კონებით ვეგლაზე მაღლა იდგეს ვეგლას შესაფერ პასუხს უნდა ამღვდეს, ვეგლას უნდა არიგებდეს. ვის და რას ასწავლავს როგორ დაარიგებ, თუ შენ თვითონ არა იცნა? ზოგიერთებს მოსწონს ტოლსტოის არაფერი



სამ მოხუც კაცზე ნათქვამი. ამ არაკით ლოცვა უარ-ყოფილია სრულებით და მხოლოდ ის არის სავალდებულო, რასაც თვითონ კაცის კონება შეთხზავს და გამოიკონებს. აბა გადაათვალიერეთ აფრიკაში მცხოვრები ველური ხალხი, რომელსაც არვინ არ ასწავლის არც ისტორიას, არც კატეხიზმოს და არც ტიბიკონს? როგორ ცხოვრობენ ეს ველურები? კარგია მათი ცხოვრება? კარგი ზნეობა აქვსთ? კარგი წეობილება აქვსთ?...


გოსწავლე. გრ. ტოლსტოი ასე სხელ კანთქმული მწერალია და იმის ნაწერები დიდდ მიღებულია საზოგადოებისაკან და როგორ დავიჯერო, რომ ის მართლა ასე შესტდეს თავის ნაწერებში? მე მისი მიმდევარი კი არა ვარ, მაგრამ მისი ზოგიერთი წიგნაკები რომ წამიკითხავს, ვხედავ. რომ ძლიერ სასარკებლონი უნდა იყვნენ.

მე. ესლა რომ მივეოთ ხელი კრიტიკულად ტოლსტოის არაკების და წიგნაკების კარჩევას, შორს წავგვიყვანს და ამდენი საბაასო დრო არც მე მაქვს და არც შენ. გრათუ ტოლსტოი ძლიერ ნიჭიერი მწერალია, ეს ეჭვს კარეძეა, მაგრამ ნიჭი სხვა არის და ზნეობა სხვაა. შეიძლება კაცი ძლიერ ნიჭიერი ბელეტრისტი იეოს, მაგრამ ზნეობითი მხრით ძლიერ დაცემული და უვიცი. გრათუ ტოლსტოი როგორც ბელეტრისტი შეუდარებელია, მაგრამ ღვთის მეტეველებაში მისი აზრები ერთობ არეულ-დარეულია. ერთ დროს მან დასწერა, ცოდვა რომ არ სუფევდეს ქვეყანაზე, კაცობრიობა უნდა გადაშენდესო. როცა მისმა მეკობრებმა გაკიცხეს იგი ამ აზრის წარმოთქმისთვის, შემდეგ ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტეც კი ურჩევდა ეველას,

რომ ვინც ეველაფერს დაუტეებს ამ ქვეყნიერობაზე, ის ას წილ მეტად იქნება დაჯილდოებულიო. მოციქული ჰავლევ ურჩევს ხალხს, რომ ცოლებს ნუ შაირთავენო. აქედან გამოვაუს მას, რომ ვითომც მოციქულებიც ქადაგებდნ. რომ ხალხი გადაშენებულიყო დედა-მიწის ჰირიდან!! რამდენი ამისთანა შეუსაბამო აზრები გაფრცვლებული მისგან, ვინ მოსთვლის. მე კირჩევ თავი დაანებო მაგისტანა წიგნების კითხვას და თარგმნას. აიდე, მაგალითებრ სასულიერო ჟურნალები და სთარგმნე იქილამ საუბრები, მოთხრობები და სხვა ამისთანა ზნეობის შინაარსის წიგნაკები. აიდე მაგალითებრ, საეკლესიო მოამბის დამატება «საკვირაო საკითხავი», რომელშიაც მოთავსებულია ითანხე თქროპირის სიტყვა — ქადაგებანი და მისი ბიოგრაფია. განა ეს ჩვენი საზოგადოებისათვის სასარკებლო არ იქნება? აიდე კიდევ, მაგალითებრ, რუსული ჰალომნიკის დამატებები რა მშვენიერი საუბრებია აქ, მაგრამ ჩვენი ხალხისთვის შეუტეობელია...

გოსწავლე. მადლობელი ვართ, ბატონო. ამ დარჩებისათვის იგი გამოკვემშიდობა და წავიდა. მაგრამ ვეჭობთ, რომ ჩვენი სიტყვები მას სასიამოვნოდ დარჩენოდეს.

(გავრძელება იქნება).



ქრისტე ალღა!

ქრისტეს მიერ საყვარელო ძმაო გიორგი!

მე თქვენ არ გიცნობ და არც მინახავნართ, მაგრამ გაიცანი თქვენი წერილით, რომელიც დაბეჭდილი იყო ამას წინეთ ქუნალს „მწყემს“-ში. იმ წერილმა დიდათ მასიამოვნა და ქრისტიანული სიყვარულით თქვენთან დამაკავშირა. ვისი გული არ აღივსება სიხარულით, როცა გესმის, რომ ვისმეს განუზრახავს მიურუებულ სოფლებში სწავლა-მეცნიერების გავრცელება იმ დროში, როგორც არის ჩვენი დრო. ვინ არ მიეგებება იმ კაცს აღტაცებით, რომელსაც განუზრახავს სასარგებლო ქრისტიანული ზნეობრივი და სარწმუნოების საკითხების გავრცელება და კითხვა დაბალ ხალხში. «მწყემსის» რედაქციას, რასაკვირველია, იმედი აქვს თავიანთ მოძმეთა, რომ ისინი წაუკითხვენ სამწყსოთა იმ სასარგებლო საუბრებს და სხვა სასარგებლო წიგნებს, მაგრამ ზოგიერთებისათვის ისე შეუტყობელი რჩება ყველა ეს მშვენიერი საუბრები, როგორც უბრალო გლეხკაცთათვის. შევიტყუე ძმაო, თქვენი მშვენიერი სურვილი და აი მოგართმევ რვა წიგნაკს უფასოდ. სთესე, ძმაო, თესლი კეთილი ქრისტეს უნაბი და დმერთი მემწყე იქნება. რაც წიგნი გამოიცემა, უოველთვის უფასოდ გამოგიგზავნით. *)

— თქვენი პატივისმცემელი ქრისტეს მიერ მორჩილი ძმა **იოსებ ლეჟავა, წყალწმიდელი.**

*) ვსთხოვ რედაქციას ამ წერილის დაბეჭდვას და ამასთან გულითად მადლობას ვსწირავ ბ. ი. ლეჟავას, რომელმანც უფასოდ გამოგიგზავნა რვა წიგნაკი და შემდეგშიც გვირდება სასარგებლო წიგნაკების გამოგზავნას. გულით და სულით ვეცდები „მწყემსის“ რჩევა და თხოვნა აღვასრულო ხალხში საუბრების კითხვის შესახებ.

თქვენი და სხ... სოფლის მწერალი გ. თოფურბე.

მოკალეობა თუ სიყვარული?

(მოთხრობა).

(გაგრძელბა *)

VI.

დაკრძალვა მესამე დღეს—კვირისათვის იყო დანიშნული. ადრე დილითგანვე დაიძრა ხალხი სოფლისაკენ. ყველა იცნობდა და ყველას უყვარდა განსვენებული მ. ანდრია.

სამაზრო ქალაქიდანაც, რომელიც ოთხი ვერსით შორავდა სოფელს, გუნდ-გუნდით მოდიოდნენ ეტლებით თუ ქვეითად მოქალაქენი. მ. ანდრიას მოძღვრული მოღვაწეობის ქება მრავალ ადგილს იყო მოთენილი. ყველანი ლაპარაკობდნენ სამწყსოისადმი მის სამაგალითო სიყვარულზე, სამწყსოის სულიერ და ყველა ცხოვრების მოთხოვნილებათა, რამდენადაც ძალღონე შესწევდა, დაკმაყოფილების სურვილზე, მის მედიდურს სამსახურზე, სკოლაზე, ამ ქვეყნიურ ძლიერთა წინაშე დახმარება-შეამდგომლობაზე.

ქალაქელებიც კარგად იცნობდნენ მ. ანდრიას, მის ქადაგებებიდან, რომლებსაც ზოგჯერ ადგილობრივს საკრებულო ტაძარში ამბობდა. ცხოველი, ყველასათვის მისახვედრი შინაარსი, ჩინებული წარმოთქმა, ქეშმარიტი ღრმა გრძნობა, მოყვასთადმი სიყვარულისა, რომლებიც იხედებოდნენ მქადაგებლის თითოეულს სიტყვაში, თითოეულს მიხვრა-მოხვრაში,—ყველასაგან ცნობილი მაღალი ზნეობრივი ცხოვრება,—ყველა ესენი იზიდავდნენ მსმენელთა სულსა და გულს მ. ანდრიასადმი. მის მოძღვრებას საეკლესიო კათედრიდან ისე ისმენდნენ, როგორც ციურ გამოცხადებასა.

მისი დარიგება სულსა და გულს ესალბუნებოდა. მისი მხილება ბევრს აღვირს სდებდა... როდესაც ის ქადაგებას ეპირებოდა, საკრებულო ტაძარში, იმ დღეს ტევა აღარ იყო მსმენელთაგან.

მ. ანდრიას პატივისა და თაყვანის მცემლები ახლა ემურებოდნენ, რომ მოეხადათ მის წინაშე უკანასკნელი ვალი.

ამგვარმა სიკვდილმა მ. ანდრია შემოსა მწყემს-

მოწამის გვირგვინით, რომელიმაც მსხვერპლად შესწირა თავის თავი მოვალეობას.

ყველას უნდოდა მუხლი მოედრიკა და თავიანი ეცა გარდაცვალებულის ცხედრისათვის.

მეტად საამური დილა იყო. მოწმედელი, გამსჭვირვალე ცა, გაზაფხულის მზე, მისი ბზინვარე სხივები, რომლებიც უფრო და უფრო ათბობდა აპრილის ცივს ჰაერს და ჯერ კიდევ გაუშრობელს ქვეყანას, — ყველა ესენი მოწმობდნენ გაზაფხულის სიახლოვეს, — იმ „ნამდვილი“ გაზაფხულისას, რომლის გამაცოცხლებელი ბუნება წარმოადგენს თვის შორის დიდებულს შესხმას შემოქმედისას.

აგერ მოედვა გუგუნი მიდამოს დიდი ზარის პირველი შემოკვრისა; ჯერ კიდევ არ მიღეულიყო ის, რომ მეორე შემოკვრაც ზედ მოჰყვა...

რეკდენ გამოსვენებისას...

აჩქარდენ მეეტლებიც და ქვეითნიც.

ეკლესიიდანაც გაუდგა მღვდლის სახლისაკენ ლატანია. როდესაც ლიტანია სახლს მიუახლოვდა, სახლში მაშინვე ლიტიას შეუდგნენ. სამღვდლოება შეიმოსა მის მიერ მოტანილი ბრწყინვალე სამოსლით. ქალაქიდან ჩამოსულმა მოხუცებულმა დეკანოზმა დაიწყო ლიტია მოხუცებულის, მაგრამ მკაფიო და გარკვეული ხმით. ყველანი მხურვალედ ლოცულობდნენ. ლოცულობდა ეზოში თავშეყრილი ხალხიც.

ლიტია შესრულდა. დაქანცული, თვალანთებული მღვდლის ცოლი, რომელიც მთელ დროს დაჩოქილი იყო, მივიდა ცხედართან. რაღაც საშიშარი გამომეტყველება იხატებოდა მის პირის სახეზე. მაგრამ მოკუშული ტუჩები, მოქუშული შუბლი, თითქოს რაღაცას იგონებსო, უტრემლო თვალები, ყველა ესეები საშიშრად ხდიდნენ საწყალი დედაკაცის მდგომარეობასა.

თავი ყველას ჩაკიდული ჰქონდა. ვერავინ ვერ ბედავდა დედაკაცისათვის პირდაპირ შეხედვას. ქალმა რაღაც არა ჩვეულებრივად დაიჩოქა ცხედართან, დაეკონა მიცვალებულის ხელებსა და დიდხანს, სულ დიდხანს ვეღარ მოსწყდა მათ.

მიუახლოვდა მოხუცებული დეკანოზი, ნაზათ მოაშორა ცხედარსა და ტკბილი, მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით უთხრა:

— კარგი, გეყოფა, გეყოფა! იკმარე ამდენი წუხილი, შვილო!

მაგრამ თითონ მასაც ცრემლები გადმოსცვივდა თვალებიდან.

— რას უყურებთ, აიღეთ ჩქარა! მიუბრუნდა და მკაცრად უთხრა იქ მყოფთ. მაგრამ ეს გარეგანი სიმკაცრე სრულიად არ ეთანხმებოდა მის ატირებულს პირის სახესა და ტირილისაგან აკანკალებულს ხმას.

დიაკვნებმა და მღვდლებმა აასვენეს ტილოებით ცხედარი და ფაცა-ფუციით შეუდგნენ სახლიდან გამოსვენებასა.

სახლის წინ ათათასამდე კაცი შეგროვილიყო. როცა ცხედარი გარედ გამოასვენეს, აქაც დაიწყეს ლიტია. ამასობაში გააწყვეს და ჩააყენეს ეკლესიისკენ მიყოლებით სამგლოვიარო ლიტანია.

ამ მოკლე გზაში ხშირად იხდიდნენ ლიტიასა, ასე რომ სულ რამდენიმე ათეული საყენის გავლას, რომელიც ეკლესიისა და მღვდლის სახლს შუა იქნებოდა, სრული ნახევარი საათი მოანდომეს.

სამგლოვიარო რეკა ზარისა, გოდება ხალხისა, მწუხარებისაგან გულდაწყვეტილი ნათესავ-ნაცნობნი მიცვალებულისა, სიმრავლე ერისა, — ყველა ესეები ისეთს მგლოვიარე-დიდებულს სურათს წარმოადგენდა, რომ უნებლიეთ მოგადგებოდათ თვალებზე ცრემლი, თითქმის თვით გულცივი, გულქვავი ადამიანებიც კი გრძნობდნენ რაღაც სიმძიმეს, რაღაც აუტანელს ბოლმას, მწუხარებას ამ სურათის დანახვაზე.

მხიარული, დიდებული გამომეტყველება ბუნებისა კიდევ უფრო აძლიერებდა სამწუხარო სურათს ლიტანიისას.

დასრულდა თუ არა წირვა, რომელიმედაც ქალაქიდან მოსული საკრებულო ტაძრის მგალობელთა გუნდი გალობდა, მაშინვე შეუდგნენ დიდებულად ანდერძის აგებას.





ქრისტე აღდგა!

განთიადისა ვარსკვლავი ჩნდება და ხალხი გროვად ფეხზედა სდგება, კელაპტარებით, ლოცვა გალობით ეკლესიებში მიეშურება.

დღეს შვების დღეა! დღეს შესწყდა კაცთა შეცოდებულის ცოდვით ვნებანი, დღეს მონაფენი ნათლის სხივებით ჩვენ მოგვენიჭა განკურნებანი.

დაიქცა ბჰენი ეშმაკურ ხელთა და მის-მოსავთა ბიწი სადგური, — სადც იყო ცოდვილთ გულის სავანე, სითკენც ეჭირათ თვალი და ყური.

დღეს ქრისტე აღდგა! და თვისს სიკვდილით დასარგუნა ყველა ის უკეთური, და სასვე-ბედოდ ახლის ცხოვრების მან მოგვიბრწყინა თვის სანათური,

და ბრძანა: „მამავ, შეიღწე და ძმანო, მნებავეს იცხოვროთ თქვენ მოყვსურათა! და ეს უკვდავი ნათლის სიტყვები ახალს აღთქმაში დაგვისურათა.


ღიახ, მას ვხარობთ, ვდღესასწაულობთ, ლოცვა გალობის არ წყდება ხმანი; წრფელისა გულით, გრძნობითა სრულით ანბორს უყოფენ ურთიერთს ძმანი.

ესრედ, მამაო! ილოცეთ ჩვენთვის, დაეიცვათ მარად ეს მოძღვრებანი, რომ ღირსეულად შევისისხლობოცოთ მოყვასთ თვისების ჩვენ ვალდებანი.

შურსა, მტერობას, აზრით მტრელობას, რომ განერინოს კაცთ ღირსებანი, ზოგს გულ-უგონოს აღარ სჩვეოდესთ უთვისტომობა, უთვისებანი.

თ — დი როსტომ ჩიქოვანი.

საქართველოდს



მედიკალი და სხვადასხვალი,

(საისტორიო მასალა).

გაგრძელება *

დიდისა და სანათ-
რებისა მფრინა

თქმისა

გარდაცვალება,

რომელიც მდგომი ნაპარ-
მაგვეს დასწეულდა; ჰყვეს
კრება მკურნალთა და წა-
რიყვანეს ტფილისს, რათა
ეგებას ჰავის გამოცვლამ
არგოსო, და არც მუნ
იქმნა განკურნებული,
არამედ წავიდა მეორეთ სოფ-
ლად და მივიდა წინაშე ქრის-
ტესა, რომელიცა მისთანა ხა-
რობს სასუფეველსა და ჩვენ
დაგვიტევა მან ობლად, რომე-
ლიც ესე თამარ იყო მესამე ღირსი
ხსოვნისა, რომელმანცა ეს ორნი
შიორნი თვის საფლავის ქვასა ზედა
დააწერინა, და დამარხეს გვაში მეფი-
სა მის გელათსაშინა, და შიორსა
მათ ქვემოთ სწნობთ წამკითხველნო



ურჩიეს მეფეს აქიმთა აღგილის ცვლა ღ ჰავისა,
თბილისს წაბრძანდი გერგების თქვენ გამოცვლო
ჰავისა,

ჰყო ნება მათი, წარვიდა, სყიდვა არ უნდა ნავისა.
მაინც არ აცდათ ქართველთა მაზედა ჩაცმა შავისა.

გარდიცვალა დიდი მეფე, ღირსი ხსოვნის თა-
მარ გმირად,

ტფილისს იქმნა შექირვება არა ღირსი გარნა ჰირად,
შექმნეს გლოვა საშინელი, იცეს თავსა დანა-პირად,
გიორგიელთ ძალი მოსწყდათ, სიცოცხლე უჩნსთ
ჰირ არ ღირინად.

იხ. „მწყემსი“ № 3, 1897 წ.

გახდა ამბავი ყოველსა საქართველოს მზღვარ-
სადა.
იმერთ მიეცათ გლოვანი, მოსთქმიან ზარის თქმა-
სადა,
მესხთ ათაბაგის საბრძანოს ტირიან გლოვის ხმასადა,
შემოკრბენ ყოვლნი ერთობლივ, შავებსა ჰყოფენ
მზასადა.

შემოკრბენ სრულად ტფილისის იმერთ ათაბაგ
ზრდილები
ქართლელ-სერ-კახნი სომხითარ, მათ ადგა მეფის
ჩრდილები,
ლენი და ოვსნი, ჩერქეზნი და მათი დიდებულები,
თუშ-ფშავ-ხევსურნი არაგვით ქსნით გმირად ჩინე-
ბულები.

იწყეს ყოველთა ტირილი და ცრემლის ღვრანი
მწარეა,
რიგით შევიდინ სრასა და ზოგნი ტირიან გარეა,
შეიძრა ოთხი კიდენი ქვეყნისა მთა და ბარია,
ვინ დააშვენოს მეფისა სრა გინა სახლთა არეა.

ტირილი ზირველი ქართლელთაგან თამარ მეფისა.

იწყეს პირველად ტირილი ქართლელთა ენა-
წყლიანთა,
ხარიგებითა ჩოქებით თმა წვერით გაცამტვრიანთა,
იწყეს გლოვა და ვაება. სე, მზეო, შენგნით სვიანთა,
რად დაგვიტევე ობლებად მოცემად ჩვენდა ზიანთა!
ჰოი, მეფეო, მოსთქმიდენ, მეფეთა ზედა სვიანო,
ჰოი, სად დასკენი უებროვ, თამარის ვარდნო იანო,
ჰოი, სად წახდა შენი მზე, მეფეო, დიდო ხმიანო,
ვის დაგვიტევე ყმანიდა ღვთისაგან გვირგვინიანო!

ვიცემდეთ თავსა და პირსა ჩვენ შენგნით და-
ტევებულნი,
შენნი მონანი ქართველნი, შენით ომს შიგან ქე-
ბულნი,
რად არ გვიწყალე და დავწვი ცეცხლნი დავგიგდე
გზნებულნი,
ვაჲ, თუ შენს უკან მტერთაგან ვიქმნეთ ლახვრითა
ვსებულნი!
იტირეს და თავსა იცეს, მოთქმით იყო მწუ-
ხარება,
ვინც იმენდა მათსა ხმასა მტერსაც აქენდათ მკმუნ-
ვარება,

ვერ ნახევიდ მუნა მყოფსა რომ ჰქონოდა მღუმარება.
აწ ქართლელნი გამოვიდნენ, იმერთ მიხვდა შექირვება.

**ტირილი მეორე ერთობლივ იმერთა, მეგრულ-
თა და გურიათა და აფხაზთა თამარ მეფესა
ზედა.**


მოვიდნენ, მოდგნენ იმერნი ძველ ჩვეულების
გვართა,
მარცხნივ და მარჯვნივ თავადნი, ჩოქი ჰქმნეს გა-
რიგებითა,
წინ აზნაურთა კრებულნი ტირიან ხმით შესაზარითა,
კანდელაკ-მაგლობელნი და უტევენ მოთქმას ზარითა.
მოსთქმენ, მეფეო, კეთილო, ტკბილად მშობე-
ლო ერთაო,
სად წახველ იმერთ დიდებაჲ, მოწყალე ყმათა ბერ-
თაო,
აწ რას გვიპირებ, რას გვიზამ მონათა ყმათა შენთაო,
რად მოგვაშორე ერთგულნი შენთა კეთილთა მზე-
თაო.

**შეჰკადრებთ შენი მონანი, შენი ერთგულნი
ყმანიდა,**

ვაჲ არა გვესმის ჩვეულთა ეგ შენი ტკბილი ხმანიდა,
სად არის წინა წყალობა, ჩვენთვის ყოველთვის
მზანიდა,
ვაი რა გვესმის, რას ვხედავთ, ანუ რისა გვაქვს თქმა-
ნიდა!
ვის დაგვიტევე მონანი შენნი ერთგულად
შხმობელნი,
ვაი რასა ვსტირთ, რასა ვხმობთ, აწ ვისი ვიყვნეთ
მკობელნი,
ჩვენ შენგნით ომში ქებულნი, შენგნით მტერზედა
მსწრობელნი,
ვაჲ თუ შენს უკან უცხო თესლთ მათ მახვილი
გვცენ მსობელნი!

ტირილი საათაბაგოსაგან მესამე თამარ მეფისა.

იმერნი ადგნენ გაბრუნდნენ ტირილ-თავ-პირის
ცემითა,
მოვიდნენ ათაბაგელნი არ მხიარულად შვებითა,
მესხნიც მათთანა ტიროდნენ მრავალ ცრემლ ცხე-
ლის გზებითა,



მათცა ჩოქი ქმნეს, გლოვა ჰყვეს რიგრიგად ჩარი-
გებითა.

მოჰყვენენ, იტირის, ზარი თქვეს, მათ ხმანი მრავ-
ლად აღიდეს,
ესა, მპყრობელო ხელმწიფევე, ბაგე ვით შენი და-
დუმდეს,
შენთა მონათა ხმა გვიყავ, მტერთ ბრძოლა გაგვი-
დვილდეს,
არ გაგვეცემ ხმასა, იცოდე, მტერნი მყის გარდმოგე-
ლახვიდეს.

ვაი რას ვხედავთ ჩვენ ამას პირველ ლხინ მრავ-
ლად ჩვეულნი,
წყულმცა იყავ სოფელო, შენით ვიქმნენით ძლე-
ულნი,
რად მღუმარე ჰყავ პატრონი, რად გეხადე ძირით
სვრეულნი,
აწ ვინლა გვიყოს წყალობა, გული გვიხადე ხეულნი.
ვაი პატრონო, გამზრდელო, მეფეო მეფეთ ზე-
დაო,
ვაი შენ თვალო ჩვენოდა, რას ხედავ ტახტსა ზედაო,
უძრავად მხნესა მეფესა, მძლეველსა მტერსა ზედაო,
შენს უკან ვიქმნათ საწყალნი, ვსტიროდეთ ამას
ზედაო.

ტირილი კახთა მეოთხე და კლოვა.

ათაბაგელნი წარმოდგნენ, აწ გამოვიდნენ კარ-
ზედა,
კახთა შეუდგათ ძრწუნება ამა ზარისა ხმაზედა,
რა არსო გამგებ ჰკითხვიდენ, ან მეფე სად ზის სკამს
ზედა,
კარათ მოვედით ჩვეულნი ჩვენ ბრძოლად მეფის
მტერზედა.

შევიდნენ კახნი მეფის სრას, სად კუბო იყო
დებული,
ოქრო ვერცხლითა შემკული, თვალ-მარგალიტით
ვსებული,
კუბო ოქროსა ტახტს ზედან ზედ იყო დადგინე-
ბული,
როს კახთ იხილეს ჩოქი ქმნეს, შეიქმნენ დარიგე-
ბული,

მოსთქმიდენ, ხმითა ხმოზდიან, მეფეო, მშვენიე-
როდა,

შენთა ყმათადმი დიდებავ და მათო ნებეიროდა,

მხნეო, ძლიერო, მოწყალევე, ბრძენ ტკუთო, მცენი-
ეროდესა

რად არ მოგვიგებ პასუხსა, შენ გმირო ზეციეროდა!
სე, თამარ მეფევე, ისმინე, მართლობის ბურჯსა
ასულო,
მხნეო, ობოლთა გამზრდელო, დავით გმირისა ასულო,
არ ისმის შენი ხმა ტკბილი, გმირო ცისკიდეს გა-
სულო,
რად გვიღალატე ერთგულ—ყმათ დიდებათ ღვთისა
ასულო!

ვაი, დაგვყარნე ერთგულნი შენნი საკუთარ მეფეო,
ვაი, ვერ მხედთა შენთა კახთ მზეო შუქ მოიფეო,
ვაი, ვის მიგვეც მონანი, შენი კახეთი სეფეო,
ვა თუ ვერღავინ შეცასძრას სპარსთა-ოსმალთა მეფეო.
დაგვყარნე ყოველნი ოხერად, გვყავ უპატრო-
ნოდ ყველანი,
ვათუ შენს უკან მტერთა ჰყონ ჩვენზედა გადმოქე-
ლვანი,
ვისა მივმართოთ ბედშავთა, ანუ ვინ გვიქმნან შვე-
ლანი,
სცნონ თამარ მეფის სიკვდილი, ჰყონ შური დიდი
ხველანი.

მოსთქმიდენ საწყალად კახელნი, სტირნ ხმასა
მეტად მწარესა,
აწ თავსა თვისსა სტირიან, სიტყვასა ხმოზენ მკმა-
რესა,
ვა უპატრონოდ დამხდართა, რასა ეჭვრეტთ შესა-
ზარესა,
ვისთან მივიდეთ ჩვეულნი, უკუდგნენ კარსა გარესა.

**ტირილი მეხუთე თამარ მეფისა თუმთა, ფშა-
ვთა, ხევსურთა, არაგველთა, ქსნელთა და ეკ-
რეთვე ერთობლივ კავკასიის მთის ხალხთა.**

მოდგნენ თუშ-ფშავნი-ხევსურნი მეფისა სახლსა
ჩვეულნი,
გვიჩვენეთ ჩვენი პატრონი, არ ვართო მასთან ძლე-
ულნი,
შეუძღვნენ, სრასა შევიდნენ, ვით მტერზედ გამარ-
ჯვებულნი
გამგებ მეფის სახლს გარ ერტყნენ ყარაულ ჩვეუ-
ლებულნი.

როს განიცადეს კუბო და ოქროსა ტახტსა
დებული,

რა არსო ესე, რა არსო, შეიქმნენ განცვიფრებული, იქნება მეფე ძილად წევს, იყავით დაწყნარებული, ნურვინ ყაყანებთ, დაჩუმდით, ვიყვნეთო გაჩუმებული.

რად არ ასდგები, ბატონო, შენ არ ხარ ჩვეულ ძილისა, ამ სიგრძელ შენი ტახტს წოლა ჩვენ არ გვახსოვსო გმირისა, მოვსულვართ შენი ერთგულნი, არ მხსოვნი შენგნით ჭირისა ვაჟუ ჩვენ მიერ გწყნოდეს, გვყო მოხსენებად ძვირისა!

თორემ შენი ჩვენსა ზედა ესდენ ხანათ უბარობა

არა გვახსოვს არაოდეს შენი ასე მღუპარობა, თუ მოსულა მტერი ვინმე, ადგი, გვიყავ მოუბრობა, ჩვენ შევებათ, მაჲ ვერ გვიყონ ჩვენთა მკლავთა დაცაზრობა.

რაზედ გვიწყრები, ხელმწიფევე, გმირო და გმირთა შობილო, არ გაგვიძღვები თათრებზე, ჩვენზე წინ წინად სწობილო, შენთა ერთგულთა რიცხვსა ვით ჩრდილო ვითა საგრილო, ესცეთ მტერთა ხმალი ლესული, იღონ მალამო საღობილო.

აწ ვგრძენით ცოცხალ აღარ ხარ, აღარც გიყვარვართ ყმანია, რად დაუტევე ეს ტურფა სახლი მეფეთა სრანია, გვითხარ, ვის მიგვეც ერთგულნი. ვის უდგას შენი ხმანია, ავ დროს შეგვმართე ღალატი, ჩვენ ვართ ომისთვის მზანია.

მოიხადეს თავსა ქუდი, იარალი შემოიხსნეს, იწყეს მოთქმა საშინელი, არღვისა დაეკითხნეს, ვაჲ, ბატონო, ლომო სიმხნით, შენსავით ვინ მოგვიკითხნეს, ვაჲ, თუ მტერი გაგვილომდეს, შენთ ყმათ პირველ რომელ ითხნეს!

მოსთქმიან ხმასა მთიულნი, თანტურით საწყლად ტირიან, ვაჲ, ჩვენო ძმანო, თუშ-ფშავნო უბატონობას ჩივიან, ხევსურნო ციხის ამღებნო, ხმა მალღად ამას ყვირიან, აწ ვინა გვიყოს თამარის მაგიერობას ყვირიან.

ისმინე, ღმერთო, რად გვიყავ, რაზედ წავგვართვი მეფეო,

ჩვენი მოწყალე ხელმწიფე ვაჟკაცი ჩვენი მეფეო, ხომ შენი ლოცვა უყვარდა, შენი მოსაგებ მეფეო, აწ რა ვქნათ, ვისით მტერთა ესძლოთ, რომ აღარ გვყავს მეფეო!

ვაჲ ჩვენ თავსა მთიულნო, ვაჲო გაბებრებულთა, ჩვენ ხმალთა პირი დაბლაგვინდა: თოფთ ვხედავთ დაჟანგებულთა, შენ დროსა ველარ შევხვდებით, აწ ვგვეართ გაგიყებულთა, რა ვქნათო ერთად ჩივიან, მოგვხედეთ გამწარებულთა.

ვაჲ მთის ხალხნო, ბატონი გვიწყრების, გვწყრების გულითა,

არც ჩვენი ესმის სიტყვის თქმა, გაგვრიდა შორად სულითა, ხომ ხედავთ, ჩვენო მოძმენო, მეფე არს ჩვენზე ლულითა, ვიცით შენს უკან არ ვარგვართ, ვიქმნენით ყოვლნი კრულითა.

მშვიდობით, დიღო მეფეო, მშვიდობით გმირად მბრძოლოდა!

მშვიდობით, ერთგულთ მოწყალევე, მშვიდობით ობოლთ მზრდელიოდა!

მშვიდობით, ბრძენო სიტყვითა, მშვიდობით მტერთა მკვლელოდა!

ვით გესალმებით, არ ვიცით, სად გაქვს საცხოვროდ ბოლოდა!

რად ესალმებით მოყმენო, ურთიერთს ეუბნებოდეს,

თან წავგიყვანე, ბატონო, გული შენ თანა გვყვებოდეს,

იქნება მარტოს მტერი გხვდეს თუშთ ხმა არ გეყურებოდეს,

ჩვენთვინ სირცხვილ არს ფშავ-ხევსურთ რომე არ შენთან კვდებოდეს!


მშვიდობით, თუშთა იმელო, მშვიდობით, ფშაველთ მყვაროდა!

მშვიდობით, ხევსურთ საუნჯევე, მშვიდობით, მტერთა მზაროდა!

მშვიდობით, არაგველთ ძალო, მშვიდობით, ქსნელთა მძღვაროდა!

ერთობლივ გიორგიელთა მეცხვარ-მწყემს-წინამძღვაროდა!

იტირეს, იცეს თავპირსა, მთიულთა თვისის გვართა,



ეგრეთვე, ზემო ლექსნი თქვეს, ფანტურს უკრავდენ
ზარითა,
მათი მხედველნი ყველანი შეიქმნენ შესაზარითა,
მერე იგინი უკუდგეს, სრულ ჰყვეს ტირილი მკმა-
რითა.
იყო მთლათ გიორგიელთა ტირილი გლოვა
კმანია,
ჰქონდათ ცრემლისა ღინება, მოთქმით ამრავლეს
ხმანია,
ჰოი სოფელო მუხთალო, ჰყავ მოქმედება რანია!
ჰყვეს ძაძა ფლასი ყოველთა მყის ჩასაცმელად მზანია.
ანდერძი ნახეს მეფისა თამარის დატოვებული,
ჰქმენითო სამი კუბონი თვალ ოქროთ განშვენებული,
ერთი დამარხეთ მცხეთასა, ერთი ვარძიას დებული,
მე დამმარხეთო გელათში არ მყოფ თათართა ვნებული.
როს დაამარცხეს ნუქარდინ სულტანი ამალ-
ლებული,
როს იქმნა სოსლან მხარგრძელი სულტანზე წარვ-
ლინებული,
ვით ზემოთ დამიწერია, ვით შექმნეს დამარცხებული,
მეფის თამარის ბრძანება სოსლან ჰყო აღსრულებული.
მას სულტანს მეფის თამარის ნუქარდინ სახელ-
დებულსა,
სჭირდა ჯავრი და ძვირის თქმა, თავს ჰყოფდა შე-
ჭირვებულსა,
როს სცნო მეფისა უძღება ჰყოფს თავსა გახარე-
ბულსა,
ცოცხალს ვერ გაენე თამარსა, აწ მკვდარს ვყოფ
გაწბილებულსა.
ოდეს მოკვდება მეფეო, ქართველთა წინამძღ-
ვარია,
მაშინ წარვალო სულტანმან, ვაოხრო ქართველთ
მზღვარია,
სადაც დამარხვენ მეფესა, უქმნა მის საფლავს ძვრანია,
ცოცხალს ვერ ვუყავ რაც მწადდა, მკვდარსა ვყოფ
შენასვარია.
მოესმა ესე ამბავი მეფეს ცოცხალსვე სვიანსა,
თვითცა ჰხედავდა, შვილს ხედავს ვერ თვისებ გან-
გებთანსა,
ჩენს უკან ნუ თუ სულტანსა ომი ვერ უქმნან ხმლიანსა,
იქნება ბილწმან რაც უთქვამს მიქმნას მე ვკირგვი-
ნიანსა.
ამის ფიქრითა უბრძანა მათ კუბოთ გაკეთებანი,
სამს ალავს დაჰუალო შორე შორ ვერ მიქმნან ცე
ცხლის გზებანი,

მყის აღასრულეს ბრძანება და ჰყვეს მეფისა ნებანი,
ერთი მუნ დაფლეს, ერთი მუნ, მტერთ ვერ ჰქმნან
მეფის ძებნანი.
თვით დაეწერა მეფესა თვისის ხელითა ნაწერი,
სამგანვე საფლავის ქვაზე ესე ჰყავითო ნაწერი,
აქ ქვანი პირქვე დასდევით, საფლავს ვერ ნახონ
ნაწერი,
რომე ზემო ვთქვი იხლეთ შაირნი ქვემო ნაწერი.

**თამარ მეფას საფლავის ქვაზე ეს ორა ლექსი
სწერა (ეკთავია),**

ესე იგი საფლავის ქვათა წარწერა ერთი მეფისა მიერ თქმუ-
ლი და მეორე მისის მწერლისაგან ვისინე.
მეფის თქმული, როს ნაქარმაგვეს მას ოვსთა მეფის ძენი
ეტრფოდენ და სხვანი ურწმუნოთა მეფის ძენი მოვიდნენ და
სწადლათ მეფის თამარის შერთვა, ხოლო თამარ არა ინება,
ვითარცა ზემო დამიწერია ლექსად, ესე იგი მეფენი არიან.

თქული მეფისა შაირი ჰირველი

როს ნაქარმაგვეს მეფენი შვიდნივე პურად და-
მესხნეს,
ყიზილბაშ-ოსმალ-არაბნი საზღვართა გარეთ გამესხნეს,
ხაზართა თევზნი ბევრ რიგნი ივერთა წყალში შთა-
მესხნეს,
ამა საქმისა ხელქმნილსა აწ მკლავნი გულსა დამესხნეს!

მღიენისა ვასკანსე თქმული მეორე შარდი:

მე ვქმენ თამარ დედოფალმან, მრავალგან ციხე ავიღე,
უზვედრს ვაშენე საყდრები, უწყლოსა წყალი გავიღე,
მისრეთს ხმალი ვკარ, დარუბანდს, როს საბალახე
ავიღე,
ამაებისა მოქმედმან ცხრა აღლი ტილო წავიღე!
შუად ჰყვეს მეფისა ანდერძი, საფლავნი სამგან
სრულეებით,
წარიღეს მეფე დიდებით, ჰყვენენ ყმანი შენაზარებით,
შავით მოსილნი ერთობით, არ შემოსილნი წით-
ლებით,
მეფე მიიღეს გელათსა მრავალის ცრემლის ღინებით.
იგ ნაბრძანები კუბონი ჰყვეს ყველგან დამარხულია,
საფლავის ქვანი სამნივე პირქვე ქმნეს დადებულია,
არა ჩნდა ზედან ნაწერნი შაირნი ზემო თქმულია,
ჰყვეს აღსრულება მეფისა ანდერძად ბრძანებულია.
მართ წელ ნახევარ იგლოვეს ქართველთ ჰყვეს
ჩაკმა შავისა,
როს დრო გავიდა გლოვისა კრება ჰყვეს პირი-ზავისა,
ეგრეთვე სრანი შემეკვეს, ტანთ ცმა ჰყვეს კაბა ზავისა,
გიორგი ლაშა დაცასვეს, თქვეს უმეფობა კმარისა.





სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნეობაზე

ყოველსავე. რასაცა იქმოდეთ, გულათად იქმოდეთ, ვითარცა უფლისასა, და სუ ვითარცა კაცთასა.

ამ სიტყვებიდან ის დიდი ნუგეში და სასიამოვნო აზრი გამოდის, რომ ჩვენ ყოველთა შეგვიძლია ყოველი ჩვენი საქმე და შრომა გადავაქციოთ ღვთის მსახურებად. ამ სიტყვებიდან გამოდის, რომ ღმერთს არა მხოლოდ მაშინ ვემსახურებით ჩვენ, როდესაც, მაგალითებრ, ეკლესიაში ვდგევართ და ვლოცულობთ, ანუ როდესაც, გამახსოვნებელ ღვთის მცნებისა, რომელსამე ქველს საქმეს, ანუ სათნოებას ვასრულებთ, არამედ იმითაც კი შეგვიძლია ვემსახუროთ ღმერთსა, როდესაც ჩვენს საკუთარს, სოფლიურ საქმეს ვაკეთებთ, თუ კი ეს საქმე პატიოსანი არის, თუ ერთგულათ და ღვთის წინაშე ვაკეთებთ იმას. კიდევ უმახლობელესად მიაქციე ყურადღება ამ სიტყვებზე: იტყვის მოციქული პეტრე: ყოველსავე, რასაც იქმოდეთ,—ესე იგი, არ არჩევს აქ დიდსა და მცირესა საქმესა, ოღონდ კი საქმე პატიოსანი და სასარგებლო იყოს,—და რაც გინდა მცირე იყოს იგი, თუ გულ მოდგინეთ აღასრულე, ამით ღმერთს ემსახურები. მაშასადამე, არა თუ მხოლოდ იმათ უნდა ინუგეშონ ამ სიტყვითა, რომელთა აზრით დიდ—დიდი სახელმწიფო საქმეები, არამედ თვით უკანასკნელ დღიურ მუშა კაცსაც, თუ იგი გულ მოდგინეთ და სინდისიანად მუშაობს, უნდა უხაროდეს, ვინაიდან იგიცა ღმერთს ემსახურება. ყოველმა ქრისტიანე კაცმა უნდა მიიღოს ყურადღებით, გარდა მომეტებულად მან, რომელიც არის სახელმწიფო სამსახურში. საუბედუროდ, მრავალი სახელმწიფო მოსამსახურენი, ჩინოვნიკნი, აგრეთვე, სამწუხაროდ,

ეკლესიის მსახურნიცა, თუ კი დიდი ადგილი არ მიიღეს და მცირე ალაგზე დარჩნენ, ხშირად დაუდევნელად აღსრულებენ თვის მოვალეობას, გულგრილად ეკიდებიან საქმეს მისთვის, რომ თავ მომწონი არიან. დიდად მიაჩნიათ თვისი თავი და პფიკრობენ, რომ იგინი უმაღლეს ადგილზე უფრო სასარგებლო იქნებოდენ. გარნა ეს დიდი შეცდომა არის. თუ დაბალ ადგილზე არ ივარგა, თუ მცირე საქმე კარგად არ აღასრულა კაცმა, ან მთავრობა როგორ იფიქრებს, რომ ის უდიდეს ალაგზე უმჯობესი იქმნება? ის იფიწყებს სიტყვასა სახარებისას: ურწმუნო იგი მცირესა ზედა, მრავალზედაც ურწმუნოა. მას არ ახსოვს კიდევ მეორე სიტყვა სახარებისა: „კეთილ მონაო და სარწმუნოო, მცირესა ზედა სარწმუნო იყავ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ“....

სოფლის მწერალი გ. თოფ.

◆ ბანსკალეა ◆

გამოვიდა და ისეიდება

ქუთაისში—ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში, ბნ ლალიძესთან, და თბილისში ბ. იმედაშვილის და ქელიძის წიგნის მაღაზიაში

ბართ. კილძისა და ალ. რუხაძის გამოცემა

„ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი აღგილავი

◆ და რამდენიმე ლექსნი. ◆

ამ წიგნაკში მოთავსებულია მამია გურიელისა— „ადამიანი“, „შიცი“, ჩემი „ალავერდი“; აკაკის— „შოთა რუსთაველის სურათზე“ და ა. შაზბეგისა— „ბუთნის დედა“. წიგნაკში ჩართულია აგრეთვე შოთას სურათი, შეიცავს 40 გვერდს და ღირს 5 კ.

დაბა ევრილასი 1886 წლიდან დღემდის არსებობდა ეოველგვარი საეკლესიო ნივთების საწუბი ევრილის ეკლესიის ეზოს ერთ საეკლესიო ოთახში. დღეს ჩვენს საკუთარ მაღაზიაში მოვათავსეთ

ეოველგვარი საეკლესიო ნივთები,

ასე რომ ჩვენს მაღაზიაში დღეს ეოველივე ნივთის სეიდვა შეუძლიათ მსურველთ და

◆ უფრო იაფადაც ◆

ვინემ სხვაგან.

რომ დარწმუნდეს მკითხველი ამ სიტყვების სიმართლეში, საკმაოა ფასების შედარება სხვებთან.

ამასთან მაღაზია გაუწევს ეველას საიმედო კომისიონერობას წარების, იკონოსტასების და სხვა საეკლესიო ძვირფასი ნივთების ვაშორებაში. ვატყნილ წარებს აიღებს ფუთს თუშნად. ჩვენს მაღაზიაში მოიპოვება არა მარტო საეკლესიო ნივთები, არამედ

ქართულ და სლოვაკურ ენაზე დაბეჭდილი საეკლესიო წიგნებიც.

● ჩვენი საეკლესიო ნივთების მაღაზიის უმთავრესი მიზანი არის **გაიარაღება** ეოველ გვარი საეკლესიო ნივთებისა.

დავით ღამბაშიძე.

კარგო საავათმყოფო ავაშლაბოკრიითურთ

ს. ბ. თოფურიასი

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ო რ მოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ეოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაცან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს
მმ. ს. ბ. თოფურიასი.

ხირურგიულ მარდით და სიფილისით
მმ. ფ. კ. გმრკაბი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიოს ქალი
მმ. მ. ფ. კაბანი.

თვალების ავათმყოფისათვის
მმ. ი. კ. ვარშაშასი.

რჩევა დარჩების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. აჭერაციის ფასი კარიგებაზეა. (10—7)

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურიასი.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

სალიტერატურა განყოფილება: როგორ მოიპოვება საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული?—სამწუხარო მოვლენა.—ქრისტე აღდგა!—მოვალეობა თუ სიყვარული?—ქრისტე აღდგა! (ლექ —საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი.

სწავლა და მც **იკაბა ქრისტიანობაში საჩხუროებასა და კეთილ-ჯანოგაზე:** ეოველსავე, რასაცა იქმოდეთ, გულითად იქმოდეთ, ვითარცა უფლისათა, და ნუ ვითარცა კაცთსა.

— განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **ღ. ღამბაშიძე.**

Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 29 апрѣля 1897 г. ◆ Цензоръ прот. Е. Елиевъ.

Типог. редакції журн. „Пастырѣ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хацановыхъ, на Нѣмецкой ул.